# ხელწერილი

## ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 12 სექტემბერი , 2013 წელი

საკონკურსო კომისიის და მისი აპარატის წევრები ვადასტურებთ, რომ **ქ.სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის** შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით 2013 წლის 27 აგვისტოს გამოცხადებულ N 918 კონკურსზე, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

კომისიის თავმჯდომარე /მერაბ ბოჭოიძე/

კომისიის წევრი /პაატა გაფრინდაშვილი/

კომისიის წევრი /ნიკოლოზ ზაზუნიშვილი/

კომისიის წევრი / ნინო კორძახია/

კომისიის წევრი /მანანა სურამელაშვილი/

კომისიის წევრი /ირინე საბაშვილი/

კომისიის წევრი /გიგლა ჭანუყვაძე/

კომისიის წევრი /გიორგი მისრიაშვილი/

კომისიის აპარატის წევრი /გუგა გოგაძე/

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"

ქ. სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსის

საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #2

ქ. თბილისი 23.09.2013წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერაბ ბოჭოიძე – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – გენერალური დირექტორი;
პაატა გაფრინდაშვილი – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი – გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
ნიკოლოზ ზაზუნიშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი – ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი;
ნინო კორძახია – საკონკურსო კომისიის წევრი – ხარისხის კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების უფროსი;
მანანა სურამელაშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი – მთავარი ექსპერტი მეთოდოლოგიურ საკითხებში;
ირინე საბაშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი – ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მთ. სპეციალისტი;
გიგლა ჭანუყვაძე – საკონკურსო კომისიის წევრი – ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მთ. სპეციალისტი;
გიორგი მისრიაშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი – ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფრ. სპეციალისტი;
გუგა გოგაძე – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი – ადმინისტრაციულ-ფინანსური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

სხდომას არ ესწრებოდა:
ნინო ნოზაძე – საკონკურსო კომისიის წევრი – ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მთ. სპეციალისტი შვებულების გამო.

დღის წესრიგი:

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ ქ.სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2013 წლის 27 აგვისტოს გამოცხადებული N 918 კონკურსის შედეგების განხილვა

საკონკურსო წინადადების მიღების დასრულებამდე 1 (ერთი) კონკურსანტის მიერ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება:

1. ააიპ „ინჟინრული აზრი“.

საკონკურსო კომისიის და საკონკურსო კომისიის აპარატის წევრებმა „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების მე-17 მუხლის შესაბამისად, ხელწერით დაადასტურა აღნუშნულ კონკურსში ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა.

კომისიამ განიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია ძირითადად შეესაბამება საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს:

- ძირითადი შემსრულებელი სპეციალისტების ჩამონათვალი, სადაც არაა წარმოდგენილი მონუმენტური სახვითი ხელოვნების ნიმუშების (კედლის მხატვრობის) რეაბილიტაციის პროექტის შემდგენელი სპეციალისტის ვინაობა;
- გასაწევი მომსახურების ეტაპები, სადაც შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი (ორივე ეტაპი), სრულად შესაბამისობაშია მოსაყვანი ტექნიკური დავალებით დადგენილი ეტაპებით განსაზღვრული სამუშაოების შემადგენლობასთან;
- ხარჯთაღრიცხვა, სადაც წარმოდგენილი შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი შესაბამისობაშია მოსაყვანი ტექნიკური დავალებით მოთხოვნილი სამუშაოების შემადგენლობასთან.

წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის დაზუსტების საკითხს მხარი დაუჭირა საკონკურსო კომისიის ყველა წევრმა.

კომისიამ დაადგინა:

1. ააიპ „ინჟინრული აზრი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია ძირითადად შეესაბამება საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

2. დაევალოს ააიპ „ინჟინრული აზრს“ 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში (არაუგვიანეს 2013 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით) გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით წარმოადგინოს: 1.შემსრულებელი სპეციალისტების დაზუსტებული ჩამონათვალი, 2. გასაწევი მომსახურების კორექტირებული ეტაპები, 3. კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა 72000,00 (სამოცდათორმეტი ათასი) ლარზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადებისა და თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით.

4. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს მონაწილე კონკურსანტს.

| | |
|---|---|
| კომისიის თავმჯდომარე | /მერაბ ბოჭოიძე/ |
| კომისიის წევრი | /პაატა გაფრინდაშვილი/ |
| კომისიის წევრი | /ნიკოლოზ ზაზუნიშვილი/ |
| კომისიის წევრი | / ნინო კორძახია/ |
| კომისიის წევრი | /მანანა სურამელაშვილი/ |
| კომისიის წევრი | /ირინე საბაშვილი/ |
| კომისიის წევრი | /გიგლა ჭანუყვაძე/ |
| კომისიის წევრი | /გიორგი მისრიაშვილი/ |
| კომისიის აპარატის წევრი | /გუგა გოგაძე/ |

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

№ 12/08/2/1217 „23" 09 2013წ.

ააიპ ინჟინრული აზრი-ს
დირექტორს მალხაზ ლეკვეიშვილს

მის: ქ.თბილისი, ლესელიძის 18/2

ბატონო მალხაზ,

გაცნობებთ, რომ სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს საკონკურსო კომისიამ განიხილა ქ.სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2013 წლის 27 აგვისტოს გამოცხადებულ N918 კონკურსზე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი გარემოება. კერძოდ, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია ძირითადად შეესაბამება საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს:

- ძირითადი შემსრულებელი სპეციალისტების ჩამონათვალი, სადაც არაა წარმოდგენილი მონუმენტური სახვითი ხელოვნების ნიმუშების (კედლის მხატვრობის) რეაბილიტაციის პროექტის შემდგენელი სპეციალისტის ვინაობა;
- გასაწევი მომსახურების ეტაპები, სადაც შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი (ორივე ეტაპი), სრულად შესაბამისობაშია მოსაყვანი ტექნიკური დავალებით დადგენილი ეტაპებით განსაზღვრული სამუშაოების შემადგენლობასთან;
- ხარჯთაღრიცხვა, სადაც წარმოდგენილი შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი შესაბამისობაშია მოსაყვანი ტექნიკური დავალებით მოთხოვნილი სამუშაოების შემადგენლობასთან.

გთხოვთ 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში (არაუგვიანეს 2013 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით) წარმოადგინოთ 1.შემსრულებელი სპეციალისტების დაზუსტებული ჩამონათვალი, 2. გასაწევი მომსახურების კორექტირებული ეტაპები, 3. კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა 72000,00 (სამოცდათორმეტი ათასი) ლარზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადებისა და თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

პატივისცემით,

სააგენტოს
გენერალური დირექტორი,
კომისიის თავმჯდომარე მერაბ ბოჭოიძე

0105. ქ.თბილისი. თაბუკაშვილის ქ. №5, ტელ. (+995 32) 93 24 11, 93 23 94
5 Tabukashvili str. Tbilisi 0105. Tel.(+995 32) 93 24 11, 93 23 94